საქართველო

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური

ხულოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ი წყალკანალის

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2018 წ. - 31.12.2018 წ.)

ხულო

2019 წ.

აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ ,,ხულოს წყალკანალი"

აუდიტის ობიექტის მისამართი - დ.ხულო, ჭავჭავაძის ქ.№1.

თემა - შესაბამისობის აუდიტი

შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის, 2018 წლის 31 დეკემბრის № 964 ბრძანებით დამტკიცებული ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმა.

აუდიტის ჯგუფი - ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი ზვიად თავართქილაძე, სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი რამაზ აბულაძე და სოფიკო ქონიაძე.

აუდიტის ვადა - 01.11.2019 წელი – 01.12.2019 წელი

აუდიტის პერიოდი - 01.01.2018 წელი – 31.12.2018 წელი

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ ხულოს წყალკანალში შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე განვლილ პერიოდს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ ხულოს წყალკანალის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ უზუსტობებს.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ-ს მდგომარეობას 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის მიმოხილვა:

,,ხულოს წყალკანალის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ხულოს წყალკანალი" (შემდგომში „წყალკანალი") არის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

„წყალკანალს" აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში ხულოს მუნიციპალიტეტის მერიასთან და კომერციულ ბანკთან, ასევე აქვს ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

,,წყალკანალი" ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, წესდების და საკუთარი შინაგანაწესის საფუძველზე.

,,წყალკანალი" წარმოადგენს წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს თვითმმართველობის, თვითდაფინანსებისა და სამეურნეო დაფინანსების პრინციპებით და რომლის საქმიანობას კოორდინაციას უწევს ხულოს მუნიციპალიტეტის მერია.

,,წყალკანალი" შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. იურიდიული მისამართია: ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო ჭავჭავაძის ქ.№1.

წესდება, ზოგადად, სრულად მოიცავს ,,ხულოს წყალკანალის" საქმიანობასა და მიზნებს, განსაზღვრულია ყველა ის მონაცემი, რაც აუცილებელია მისი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, განსაზღვრულია ასევე მისი ვალდებულებები.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა და კანონიერება

ა(ა)იპი ხულოს წყალკანალის 2018 წლის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვრა 212 840 ლარით, ამავე პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 212 531 ლარი. ე.ი. დაგეგმილი ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 309 (212 840-212 531) ლარით ნაკლები.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

შრომის ანაზღაურება პრემიის ჩათვლით გეგმით გათვალისწინებული იყო 145 080 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 145 080 ლარი.

შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასი შეადგენს 24 210 ლარი, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი - 24 010 ანუ გეგმის 99.2%.

საქონელი და მომსახურება მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 67 170 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო ხარჯი 66 861 ლარი ანუ გეგმის 99,5%. სხვაობამ შეადგინა 309 ლარი.

ოფისის ხარჯის მუხლით გათვალისწინებული იყო 27 270 ლარი, რეალურად გაიხარჯა 27 198 ლარი. მათ შორის სხვაობამ შეადგინა 72 ლარი, გეგმა შესრულდა 99,7 %-ით.

რბილი ინვენტარისა და უნიფორმოს შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლით გათვალისწინებული იყო 2000 ლარი გაწეულ საკასო ხარჯმა შეადგინა 1995 ლარი.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯის მუხლით გათვალისწინებული იყო 13 490 ლარი, რეალურად გაიხარჯა 13 488 ლარი. მათ შორის სხვაობამ შეადგინა 2 ლარი ანუ გეგმა შესრულდა 99,9%-ით.

სხვა ხარჯების მუხლით გათვალისწინებული იყო 590 ლარი რომელიც სრულად იქნა ათვისებული.

რეკომენდაცია

ბიუჯეტის დაგემვის დროს მაქსიმალურად გათვლილი და გათვალისწინებული იქნას ყველა გასაწევი ხარჯი, რაც აღარ გამოიწვევს აუთვისებელი თანხების არსებობას.

პირველადი დოკუმენტაციის წარმოება

ა(ა)იპი ,,ხულოს წყალკანალს" მიერ 2018 წელს წარმოებული ბუღალტრულ დოკუმენტაციაში გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ:

ა(ა)იპი ,,ხულოს წყალკანალს" მიერ 2018 წელს წარმოებული ბუღალტრულ დოკუმენტებზე არა აქვს შედგენილი მემორიალური ორდერები.

საწვავის და სხვადასხვა მასალების მიღებაზე აქვს მხოლოდ საგადასახადო ანგარიშ ფაქტურები და მიღება-ჩაბარების აქტები, არა აქვს ვალდებულების დოკუმენტები დასაგადასახადო მოთხოვნა.

თებერვლის თვეში მიღებული აქვს 300 ლიტრი საწვავი თანხით 630 ლარი, სპეციალისტ ნოდარ პაიჭაძის მოხსენებითი ბარათით გახარჯულია 300 ლიტრი საწვავი, მძღოლის მოხსენებითი ბარათით გახარჯულია 305 ლიტრი საწვავი, წარმოდგენილი დოკუმენტაციით გახარჯულია არ არსებული 5 ლიტრა საწვავი.

საანგარიშო პერიოდის მაისის თვეში წარმოდგენილია მარტო საგადასახადო ანგარიშ ფაქტურა ბენზინზე, ხოლო დიზელის საწვავის მიღებაზე არა აქვს მიღება-ჩაბარების აქტი.

ა(ა)იპი ,,ხულოს წყალკანალის" მიერ 2018 წელს მიღებული აქვს 550 ლიტრი დიზელის საწვავი, თანხით 1325 ლარი, წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება რომ გახარჯული აქვთ 325 ლიტრი დიზელის საწვავი თანხით 817 ლარი, ნაშთმა შეადგინა 225 ლიტრი დიზელის საწვავი 508 ლარის თანხით, რომელიც არ არის ასახული შესაბამის დოკუმენტებში. (გახარჯულია ყველა საწვავი მაგრამ არ არის დოკუმენტურად ასახული)

რეკომენდაცია

პასუხისმგებელმა პირებმა უზრუნველყონ პირველადი დოკუმენტაციის სრულად და კანონის სრული დაცვით წარმოება.

სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვები ცალკეულ შემთხვევებში განხორციელებულია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ:

სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებულია ბაზრის კვლევის გარეშე.

სახელმწიფო შესყიდვების დროს არ არის გათვალისწინებული შესყიდვების გეგმა, კერძოდ ქვემოთ მითითებულ კოდები 2018 წლის შესყიდვების გეგმაში არ არის მითითებული და გათვალისწინებული

31400000 - აკუმლიატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები - 420 ლარი

39200000 - ავეჯის აქსესუარები- 2 ხელშეკრულრბაში საერთო თანხა 125 ლარი (60+65).

09200000 - ნავთობი, ქვანახშირი და ნავთოპროდუქტები- 2 ხელშეკრულება 231 ლარზე და 240 ლარზე.

44400000 - სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები 1320 ლარზე.

ასევე საწვავი კოდით 09100000 2018 წლის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო 9200 ლარზე, ა(ა)იპი ,,ხულოს წყალკანალს" მიერ აღნიშნული კოდით განხორციელებული აქვს 10 287 ლარზე სახელმწიფო შესყიდვა (1087 ლარით მეტი), რაც ასევე ხარვეზია.

ა(ა)იპი ,,ხულოს წყალკანალს" ჯერ უნდა მოეხდინა ცვლილება შესყიდვების გეგმაში და შემდგომ განეხორციელებინა შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვები.

რეკომენდაცია

სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მოთხოვნათა სრული დაცვით.

შიდა აუდიტის და მონიტორინგის
სამსახურის უფროსი: / ზვიად თავართქილაძე /

უფროსი სპეციალისტი / რამაზ აბულაძე /

უფროსი სპეციალისტი / სოფიკო ქონიაძე /